ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება "ხელბურთელთა კლუბი"-ს მიმდინარე ხარჯები. პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

4.1.2.5 შპს "სპორტული კომპლექსი სამტრედია" - (პროგრამული კოდი 05 01 02 05)

შპს "სპორტული კომპლექსი სამტრედია"-ს ძირითად მიზანს წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, აგრეთვე, სპორტსმენთათვის სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. მისი ძირითადი საქმიანობა დაინტერესებული პირებისთვის საცურაო აუზით, საფეხბურთო მიწის მოედნებითა და სპორტული დარბაზით მომსახურებაა. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება შპს "სპორტული კომპლექსი სამტრედია"-ს მიმდინარე ხარჯები და შრომის ანაზღაურება.

4.1.2.6 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი" - (პროგრამული კოდი 05 01 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება "საჭიდაო კლუბი ფალავანი"-ს მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში, აგრეთვე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვების მომზადება, საწრთვნიელი პროცესის ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური და საწრთვნიელი ბაზის შექმნა, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა - (პროგრამული კოდი 05 02)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 სახელოვნებო სკოლები - (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები:

- ააიპ დომენტი შანიძის სახელობის N 1 სახელოვნებო სკოლა - (პროგრამული კოდი 05 02 01 01)
- ააიპ N 2 სამუსიკო სკოლა - (პროგრამული კოდი 05 02 01 02)
- ააიპ სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა - (პროგრამული კოდი 05 02 01 03)
- ააიპ გომის თემის სამუსიკო სკოლა - (პროგრამული კოდი 05 02 01 04)
- ააიპ სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა - (პროგრამული კოდი 05 02 01 05)
- ააიპ დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა - (პროგრამული კოდი 05 02 01 06)
- ააიპ სამხატვრო სკოლა-გალერეა - (პროგრამული კოდი 05 02 01 07)
-

ქვეპროგრამის აღწერა: სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის.
- მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდთა გამოვლენა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- კონკურსში მონაწილეთა და უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლისათვის მომზადებულ მოზარდთა რაოდენობა.
- ჩატარებული კონცერტების რაოდენობა.

4.2.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი - (პროგრამული კოდი 05 02 02)

საქმიანობის სახეა კულტურის სხვა დაწესებულებების საქმიანობა, მიზანი - თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობა; სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება; თანამშრომლობა ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემცენებითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის გაფართოება;

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- მაყურებელთა რაოდენობა

4.2.3 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება" - (პროგრამული კოდი 05 02 04)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ აერთიანებს 9 ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება 6689 მკითხველს. იგი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის მიმართულებით. ქვეპროგრამის ფარგლებში ბიუჯეტიდან ფინანსდება ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას მიმდინარე ხარჯები და შრომის ანაზღაურება. მისი მიზანია მოსახლეობის მომსახურება საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული საღამოებისა და შეხვედრების გამართვა გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- წიგნისადმი მოსახლეობის ინტერესის ზრდა

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- მკითხველთა რაოდენობა

4.3 შპს ” სამტრედიის მაცნე ” - (პროგრამული კოდი 05 03)

იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს ” სამტრედიის მაცნე ” მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- გაზეთისადმი მოსახლეობის ინტერესის ზრდა გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიცისტური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო თემატიკის შემცველი მასალებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- მკითხველთა რაოდენობის ზრდა
- პროფესიულ დონეზე მოთხოვნადი მასალების მომზადება.

4.4 ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი - (პროგრამული კოდი 05 04)

საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მოსახლეობის დაინტერესება ცენტრის მუშაობით.
- სოციალური პროექტის ამოქმედება (ინგლისური და კომპიუტერების კურსები).
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საიტის შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- საიტის სტუმართა რაოდენობა.
- სოციალური პროგრამის მსურველთა რაოდენობა.

- პერიოდული სოციალური გამოკითხვები ექვს თვეში ერთხელ.

4.5 ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება - (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

4.5.1. ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 01)

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, საგანმანათლებლო პროცესის მოტივაციის ამაღლება, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებული თანამშრომლობა, მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების ამაღლება, ახალგაზრდების საქმიანობისა და სხვადასხვა აქტივობებში მათი ჩართულობის ხელშეწყობა, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.

მოსალოდნელი შედეგი: საზოგადოებრივ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართვა, მათი ცოდნის ღონისძიებისა და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება, ახალგაზრდების თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენება

შეფასების შეფასების ინდიკატორი: განხორციელებული პროექტების რაოდენობა; პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა.

4.5.2 კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2018-2021 წლების განმავლობაში დაფინანსდება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის ოფიციალური ელ.გვერდის გადასახადზე და მის შექმნაზე, შედეგად სამტრედიის მუნიციპალიტეტს ექნება გამართული, სრულყოფილი მნიშვნელოვანი ინფორმაციული ბაზა, ასევე ვებ.გვერდი სადაც განთავსდება ინფორმაცია ისტორიული, კულტურული ძეგლების შესახებ. სამტრედიის მუნიციპალიტეტით დაინტერესებულ 1000 - ობით პირს საშუალება ექნება უმოკლეს დროში მიიღოს მისთვის საჭირო, ხარისხიანი ინფორმაცია, რაც გამოვიწვევს ტურისტების დაინტერესებასა და მოზიდვას. ბუკლეტები, რომელზეც სამტრედიის ღირშესანიშნაობები იქნება დატანილი ჩვენს ქალაქში ჩამოსულ ტურისტებს ერთგვარ მეგზურობას გაუწევს და უფრო საინტერესოს გახდის მათ ყოფნას ჩვენს მუნიციპალიტეტში. ფოტო-კონკურსში ჩაერთვება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლიდან მოყვარული

ფოტოგრაფი, მათ მიეცემათ შესაძლებლობა განსხვავებული ხედვა შეიტანონ და აღბეჭდონ ჩვენი ქალაქი ისტორიული- კულტურული ძეგლები. გამოფენას კი დაესწრება 100-ობით ახალგაზრდა. დამზადდება საინფორმაციო ნიშნულები (ტრაფარეტები) ისტორიული-კულტურული ძეგლებისთვის. სახალხო დღესასწაულ "ნიკობა"-ზე მისულთ გარდა იმისა რომ ექნებათ საშუალება გაეცნონ ნიკოლაძეების ისტორიულ- კულტურულ მემკვიდრეობას დაათვალიერონ ულამაზესი ტყე-პარკი მათთვის მოეწყობა კონცერტი.მუზეუმის საერთაშორისო დღეს ჩართული ახალგაზრდები კი წახალისდებიან ფასიანი საჩუქრებით. კულტურის სფეროში დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, აღინიშნება ტრადიციული

				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
0600	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,019.2	1,365.9	90.5	1,275.4	1,577.7	243.7	1,334.0	1,151.8	90.7	1,061.1	1,231.8	1,301.8	1,341.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	71.0	71.0	0.0	71.0	72.0	0.0	72.0	72.0	0.0	72.0	72.0	72.0	72.0
	ხარჯები	983.4	1,362.4	90.5	1,271.9	1,416.2	90.7	1,325.5	1,151.8	90.7	1,061.1	1,231.8	1,301.8	1,341.8
	სუბსიდიები	364.9	419.6	86.5	333.1	416.9	86.7	330.2	377.2	86.7	290.5	377.2	377.2	377.2
	სოციალური უზრუნველყოფა	615.5	935.6	4.0	931.6	992.2	4.0	988.2	774.6	4.0	770.6	854.6	924.6	964.6
	სხვა ხარჯები	3.0	7.2	0.0	7.2	7.1	0.0	7.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	35.8	0.6	0.0	0.6	161.5	153.0	8.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მირითადი აქტივები	35.8	0.6	0.0	0.6	161.5	153.0	8.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	2.9	0.0	2.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საშინაო	0.0	2.9	0.0	2.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0601	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	92.0	109.3	86.5	22.8	271.0	239.7	31.3	109.5	86.7	22.8	109.5	109.5	109.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	22.0	22.0		22.0	23.0		23.0	23.0	0.0	23.0	23.0	23.0	23.0
	ხარჯები	92.0	109.3	86.5	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	109.5	109.5
	სუბსიდიები	92.0	109.3	86.5	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	109.5	109.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	161.5	153.0	8.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	161.5	153.0	8.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
060101	ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების ცენტრი	92.0	109.3	86.5	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	109.5	109.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	22.0	22.0		22.0	22.0		22.0	23.0		23.0	23.0	23.0	23.0
	ხარჯები	92.0	109.3	86.5	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	109.5	109.5
	სუბსიდიები	92.0	109.3	86.5	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	109.5	109.5

060102	სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული ცენტრის მშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0	161.5	153.0	8.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	161.5	153.0	8.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	161.5	153.0	8.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0602	სოციალური პროგრამები	927.2	1,256.6	4.0	1,252.6	1,306.7	4.0	1,302.7	1,042.3	4.0	1,038.3	1,122.3	1,192.3	1,232.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	49.0	49.0	0.0	49.0	49.0	0.0	49.0	49.0	0.0	49.0	49.0	49.0	49.0
	ხარჯები	891.4	1,253.1	4.0	1,249.1	1,306.7	4.0	1,302.7	1,042.3	4.0	1,038.3	1,122.3	1,192.3	1,232.3
	სუბსიდიები	272.9	310.3	0.0	310.3	307.4	0.0	307.4	267.7	0.0	267.7	267.7	267.7	267.7
	სოციალური უზრუნველყოფა	615.5	935.6	4.0	931.6	992.2	4.0	988.2	774.6	4.0	770.6	854.6	924.6	964.6
	სხვა ხარჯები	3.0	7.2	0.0	7.2	7.1	0.0	7.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	35.8	0.6	0.0	0.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მირითადი აქტივები	35.8	0.6	0.0	0.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	2.9	0.0	2.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საშინაო	0.0	2.9	0.0	2.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
060201	ააიპ „სახლი თანადგომა“	170.8	176.6	0.0	176.6	170.0	0.0	170.0	170.0	0.0	170.0	170.0	170.0	170.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	26.0	26.0		26.0	26.0		26.0	26.0		26.0	26.0	26.0	26.0
	ხარჯები	170.8	173.1	0.0	173.1	170.0	0.0	170.0	170.0	0.0	170.0	170.0	170.0	170.0
	სუბსიდიები	170.8	173.1		173.1	170.0		170.0	170.0		170.0	170.0	170.0	170.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.6	0.0	0.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მირითადი აქტივები	0.0	0.6	0.0	0.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	2.9	0.0	2.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საშინაო	0.0	2.9	0.0	2.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
060202	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	137.9	106.2	0.0	106.2	97.7	0.0	97.7	97.7	0.0	97.7	97.7	97.7	97.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	23.0	23.0		23.0	23.0		23.0	23.0		23.0	23.0	23.0	23.0

	ბარჯები	102.1	106.2	0.0	106.2	97.7	0.0	97.7	97.7	0.0	97.7	97.7	97.7	97.7
	სუბსიდიები	102.1	106.2		106.2	97.7		97.7	97.7		97.7	97.7	97.7	97.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	35.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	35.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0602003	დედათა და ბავშვთა დახმარება	133.4	133.0	0.0	133.0	124.0	0.0	124.0	184.0	0.0	184.0	134.0	134.0	134.0
	ბარჯები	133.4	133.0	0.0	133.0	124.0	0.0	124.0	184.0	0.0	184.0	134.0	134.0	134.0
	სოციალური უზრუნველყოფა	133.4	133.0	0.0	133.0	124.0	0.0	124.0	184.0	0.0	184.0	134.0	134.0	134.0
0602004	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები	466.1	823.6	0.0	823.6	895.0	0.0	895.0	576.6	0.0	576.6	700.6	770.6	810.6
	ბარჯები	466.1	823.6	0.0	823.6	895.0	0.0	895.0	576.6	0.0	576.6	700.6	770.6	810.6
	სუბსიდიები		31.0		31.0	39.7		39.7	0.0		0.0			
	სოციალური უზრუნველყოფა	465.6	787.2	0.0	787.2	849.3	0.0	849.3	576.6	0.0	576.6	700.6	770.6	810.6
	სხვა ბარჯები	0.5	5.4	0.0	5.4	6.0	0.0	6.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
0602005	დაკრძალვის ხარჯი	6.5	4.0	4.0	0.0	10.0	4.0	6.0	6.0	4.0	2.0	10.0	10.0	10.0
	ბარჯები	6.5	4.0	4.0	0.0	10.0	4.0	6.0	6.0	4.0	2.0	10.0	10.0	10.0
	სოციალური უზრუნველყოფა	6.5	4.0	4.0	0.0	10.0	4.0	6.0	6.0	4.0	2.0	10.0	10.0	10.0
0602006	დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით	12.5	13.2	0.0	13.2	10.0	0.0	10.0	8.0	0.0	8.0	10.0	10.0	10.0
	ბარჯები	12.5	13.2	0.0	13.2	10.0	0.0	10.0	8.0	0.0	8.0	10.0	10.0	10.0
	სოციალური უზრუნველყოფა	10.0	11.4	0.0	11.4	8.9	0.0	8.9	8.0	0.0	8.0	10.0	10.0	10.0
	სხვა ბარჯები	2.5	1.8	0.0	1.8	1.1	0.0	1.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები 271.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები.

5.1.1 ა(ა)იპ საზოგადოებრივი "ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი" - (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი ტრანსფერისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;

უზრუნველყოფა;

- იმუნოპროფილაქტიკის ლიჯისტიკის უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა;
- პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები;
- პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა;
- დაავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;
- სანიტარული ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი:

- სანიტარული პირობების გაუმჯობესება; მავნე მწერების განადგურება

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- გატარებული ღონისძიებების რაოდენობა

5.1.2 სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული ცენტრის მშენებლობა 161,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის N1551 განკარგულებით შეტანილი ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტს ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. N84-ში სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული ცენტრის ოფისის მშენებლობა.

5.2 სოციალური პროგრამები - (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეულ შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურეობის ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 ა(ა)იპ სახლი " თანადგომა " – (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მარტოხელთათვის და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასო სასადილოთ სარგებლობა (130 სოციალურად დაუცველი პირი);
- მარტოხელა პენსიონრებისათვის და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასოდ პურის სარგებლობა (360 სოციალურად დაუცველი პირი);
- პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (18 წლამდე ასაკის 75 ბავშვი);
- დღერგბელი პირებისათვის მოხუცთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (100 და 100 წელს ზემოთ);
- მარტოხელა და სოციალურად უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (135 სოციალურად დაუცველი პირი)ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ამანათების მომზადება 5 და მეტი შვილი.

5.2.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ”სათნოების სახლი ” - (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვებო-სოციალური პირობების უზრუნველყოფა, დღე-ღამის მანძილზე სამჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება მედპერსონალისა და სანიტართა სადღესასწაულო მორიგეობა, მათი ინვენსტიციების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში.

5.2.3 დედათა და ბავშვთა დახმარება - (პროგრამული კოდი 06 02 03)

- ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

-ახალშობილთა დახმარება

1. ერთჯერად (თითო ბავშვზე) 100 (ასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი და მეორე შვილი.
2. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
3. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 250 ლარის ოდენობით.
4. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-5 შვილი და მეტი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 400 ლარის ოდენობით.
5. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილისა და მეორე და მესამე შვილის შემდგომ შემთხვევაში 200 ლარს, მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში 400 ლარს
6. ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2017 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული, გარდა ამ მუხლის „1“ პუნქტისა. „1“პუნქტის შემთხვევაში დახმარებას მიიღებენ თუ ახალშობილი დაიბადა 2017 წლის 1 დეკემბრის შემდეგ და არ აქვს აღებული დახმარება

- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;

ითვალისწინებს მრავალშვილიან ოჯახების დახმარებას ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 20 ლარის ოდენობით (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილისათვის)

5.2.4 სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია;

1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება

- მოქალაქეთა ოპერაციების დაფინანსება - მოქალაქე, რომელიც დაავადებულია გულსისძარღვთა დაავადებით, ონკოლოგიური დაავადებით, გინეკოლოგიური დაავადებით და ასევე სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებით და საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას, ქიმიოთერაპია, კოქსართროზი, გონართროზი, ანევრიზმა, თრომბოფლემბიტი და სხვა დაავადებების სტაციონარული მკურნალობა (თანადაფინანსებით პაციენტის გადასახდელი თანხის 50%, განსაკუთრებულ შემთხვევაში პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით თანადაფინანსების 70 -100%-ით) დაფინანსდეს 100-დან-500 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200000-ს, ან შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

- მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება - მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ კვლევას, მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას, PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია)-კვლევას, (თანადაფინანსების 50 %, განსაკუთრებულ შემთხვევაში პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით თანადაფინანსების 70-100%), დაფინანსდეს 100- დან -300 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, ან შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

- .მოქალაქეები, რომლებიც არიან ქრონიკულად დაავადებულები (ეპილეფსია, პარკისონი, დიაბეტი-გართულებული ფორმით, ასთმა, ინსულტი, ინფარქტის შემდგომი მკურნალობა, შიზოფრენია და ფსიქონერვული დაავადებები, სისხლძარღვოვანი დაავადებები და სხვა, იშვიათი მძიმე დაავადებები), პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, წლის განმავლობაში მედიკამენტებისათვის გაიცეს 150 ლარამდე (გარდა გამონაკლის შემთხვევისა). მძიმე და განსაკუთრებულ შემთხვევებში ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დროს მედიკამენტების ღირებულების შესამედის თანადაფინანსება 300 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200000-ს, ან შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

- .მოქალაქეები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წლის განმავლობაში მედიკამენტებისათვის გაიცეს 100 ლარამდე.(დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა

მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, ან შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

- ომის ვეტერანებისათვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200000-ს, წლის განმავლობაში მედიკამენტებისათვის გაიცეს 200 ლარამდე, გარდა გამონაკლის შემთხვევისა;

3. სტუდენტების დახმარება

- უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს 500 (ხუთასი) ლარით გაეწევათ ერთჯერადად;

ა) დედ-მამით ობოლი;

ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილიანი) ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 57000- ჩათ. სარეიტინგო ქულა.

4. უდემამო ბავშვების დახმარება

მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაცვალა მშობლები, ან ბავშვები, რომელთა მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი

-უდემამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

5. ასი და მეტი წლის ასაკის უზუცეს დღეგრძელთა დახმარება;

ერთჯერად, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

6. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება;

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 (ორასი) ლარი ან სოციალური დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები.

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები;

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 100 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალ დაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, რომლებიც წარმოდგენენ სოციალურად დაუცველმოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 100000 სარეიტინგო ქულა

7. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:

ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

8. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება;

- ითვალისწინებს ჩერნობილის მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით; 26 აპრილს

9. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება;

ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარებას, თითოეულისათვის 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად ;

10. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტით და აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება.

- ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით;

- ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით;

- დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების ერთჯერად ყოველთვიურ დახმარებას დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

- დიაბეტით და აუტიზმით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

- ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, ჰიპერალანინემია და სხვა იშვიათი დაავადების მქონე ბავშვები (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს აღნიშნული დაავადებით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

11. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება;

.ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერადად დაფინანსებას 500 ლარით;

12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება;

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო, სმენადაქვეითებულ- ყრუ-მუნჯ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს: ეპილეფსია, გონებრივი ჩამორჩენილობა (დაუზუსტებელი), 150 ლარის ოდენობით.

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ფსიქონერვული და შიზოფრენიით დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით;

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს 18 წლამდე 200 ლარის ოდენობით;

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნით სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

თუ ბენეფიციარს დახმარების მიღების უფლება აქვს ამ მუხლის „1“, „2“, „3“, „4“, „5“ პუნქტით გათვალისწინებული ერთდროულად ერთზე მეტი საფუძვლით, დახმარება მიეცემა მხოლოდ ერთის საფუძვლით, მათ შორის მაქსიმალური თანხის უპირატესობით.

13. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში;

- ოჯახებს, რომელთაც შექმნილი აქვთ განსაკუთრებულად მძიმე სოციალური მდგომარეობა (ტრაგედია, უბედური შემთხვევა, კატასტროფა და სხვა), ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვოს გამგეობაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების მიერ, რომლის ოდენობაც განისაზღვროს (100 -500)ლარის ოდენობით.

- ოჯახები, რომლებიც დგანან სიღატაკის რისკის ქვეშ (ენგრევით საცხოვრებელი სახლი, ან საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას) ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა განისაზღვროს გამგეობაში შექმნილი კომისიის მიერ (100-500) ლარის ოდენობით.

- მოქალაქეები, რომლებიც არიან მარტოხელები, ფსიქიურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუუნარონი გამგეობაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც დახმარების მოთხოვნის მომენტში სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს (არიან მრავალი და მცირეწლოვანი შვილებიანი ოჯახები, უსახლკარონი, მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგულები და ოჯახები, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად და სხვა) ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვროს გამგეობაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით 100- 150ლარის ოდენობით.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ოჯახებს, რომელთაც დაეწვათ საცხოვრებელი სახლი 2018 წელს ან 2017 წლის დეკემბრის თვეში და არ აუღიათ დახმარება, ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა განისაზღვროს გამგეობაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით 500- 2000 ლარის ოდენობით.

14. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება

- ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, გაეწევათ სოციალურად დაუცველი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის წევრებს, რომელთა სარეინტიგო ქულა შეადგენს 0-200000 მდე

15. წითელი ჯვრის თანადაფინანსება

სოციალურად იზოლირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების უმწეობის (ხანდაზმულები 60 წლის ზემოთ და ახალგაზრდები 15-27 წლამდე) შემცირებისა და ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი რესურსების გამოყენება მათი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაძლიერების, განვითარების, საკუთარი ღირსებისა და თვითდაჯერებულობის გრძნობების ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში.

16. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა 100 ლარის ოდენობით.

17. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შეადლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა.

- დღის ცენტრის კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება, სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შეადლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. 2018 წლის განმავლობაში თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტრო ენერჯია, გაზი, წყალი), ორგანიზაციის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე თანხა ჩაირიცხება მათ ანგარიშზე. თანხა თვეში არაუმეტეს 300 ლარისა.

- 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შეადლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის მომართვის საფუძველზე ერთჯერადად დაფინანსდება დღის ცენტრში გათბობის სისტემის მონტაჟისათვის ხარჯები 900 ლარის ფარგლებში.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; პროგრამით მოსარგებლე მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესება; ჰემოდიალიზზე მყოფი პირების სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება, უდედმამო ბავშვების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

5.2.5 დაკრძალვის ხარჯი 6,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის თანხა მ.შ. ტრანსფერით 4,0 ათასი ლარი .

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, სხვა ომის მონაწილეთა და მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯი 250 ლარის ოდენობით

5.2.6 დიდ სამამულო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარება 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით - 8,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 400 (ოთხას) ლარიან ფულად სოციალურ დახმარებას და ასევე 100-100 ლარიან სასაქონლო ფორმით დახმარებას მიიღებენ მეორე მსოფლიოს ომის მონაწილეები (9 მაისის დღესასწაულზე);